## ხელოვნებათმცოდნეობა
## Art History

# ქმედება თუ ხდომილება თეატრალურ ენაზე

**თამარ ცაგარელი**
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
a-mail: ttsagareli@tafu.edu.ge
**tamaratsagareli@gmail.com**
**ORCID: 0000-0002-1703-216X**
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.16
**SJIF 2026:** 8.679

„თეატრი-ყველაზე მშვენიერია, რამეთუ
იგი ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის მდებარეობს"
თადეუშ კანტორი

*XXI საუკუნის ქართული თეატრი პარადოქსულობით გამოირჩევა. მასში აისახა დრო, რომელმაც შექმნა რეალობა და დრო, რომელიც აღზევდა სცენაზე.*

*მართლაც, რომ პარადოქსულია ჩვენი სინამდვილე. კლასიკურ ღირებულებათა რევიზიამ, თითქმის, ჯვაროსნული ლაშქრობის სახე მიიღო. თავგზააბნეული ადამიანი კრიზისის მიზეზს ტრადიციულ ღირებულებათა წიაღში დაეძებს, რათა თავი გაიმართლოს, საკუთარი უუნარობითაც რომ გააქრო პირველქმნილი ჰარმონია. ადამიანი გაუცხოვდა საკუთარი არსისგან და აგრესიული გახდა. საზოგადოება ვალდებულია გააცნობიეროს რეალობა და განჭვრიტოს პერსპექტივა, მაშინ, „როცა შიმშილის საფრთხე რეალურია, როცა განათლება პრივილეგიაა და არა უფლება, როცა თვითგამოხატვა პროპაგანდაა თან მაშინ, როცა ნამდვილი პროპაგანდა რეალობას გვიყალბებს, როცა არტისტები კულტურული შიმშილით კი არა პურის შიმშილით იღუპებიან" – „ნულარ გამოხვალ ოთახიდან" (დრამატურგი და რეჟისორი ქეთევან სამხარაძე)*

*ჰოდა, სანამ არ იმოქმედებ, ეს „ნაგავიც" სრულიად დაგაკმაყოფილებს, მით უფრო მაშინ, როცა ჩვენს იქით, არც ევროპაა, არც აზია - ჩვენს იქით უიმედობაა და სანამ ჩვენ ველარ ვიყიდით პურს და ველარ გავაკეთებთ ტყუილ სუპს, ევროპული ოჯახი უარგვყოფს და დავიღუპებით!*

*ამჯერად კი, ვისაუბროთ პოლიტიკურ ფარსზე და მის შემადგენელ ნაწილებზე, რომელიც, 2025 წლის 6 ივნისს, ქალაქის თეატრმა ქეთევან სამხარაძის რეჟისორობით წარმოგვიდგინა.*

**საკვანძო სიტყვები:** თეატრი, ეპოქა, ქმედება, რეალობა, ხდომილება;

**დააფიქსირო ადამიანი საზოგადოების განვითარების კანონებზე, საკუთარი თავისა და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმანზე - ასეთ მიზანს ისახავს რეჟისორ ქეთევან სამხარაძის პერფომანსი - „ ნუღარ გამოხვალ ოთახიდან“. ხელოვნებამ უკვე არაერთხელ დაგვიმტკიცა, რომ იგი არ და ვერ იმიჯნება პოლიტიკისაგან, თეატრი კი არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ ყველაზე ხმამაღლა ვისაუბროთ ამ უკანასკ-ნელზე. შედეგად, ათწლეულების წინათ შეიქმნა ტერმინი - პოლიტიკური თეატრი - რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ამდიდრებდნენ და ავრცელებდნენ ისეთი ავტორები, როგორებიცაა, ერვინ პისკატორი, ბერტოლტ ბრეხტი, აუგუსტო ბოალი, ფრიდრიხ ვოლვფი, ვსევოლოდ მეიერხოლდი და ა.შ.**

XXI საუკუნის ქართული თეატრი პარადოქსულობით გამოირჩევა. მასში აისახა დრო, რომელიც შექმნა რეალობამ და დრო, რომელიც აღზევდა სცენაზე. ჯერ კიდევ, ფრანგი რეჟისორი და მსახიობი ანტონენ არტო თეორიულ ნაშრომებში საერთო სახელწოდებით „თეატრი და მისი ორეული“ მიზნად ისახავდა მაყურებლის შოკირებას მაგიური რიტუ-ალისათვის დამახასიათებელი ხერხებითა და საშუალებებით, მათ შორის რეჩიტატივით, რასაც უნდა მოყოლოდა მაყურებლის გათავისუფლება შიშისაგან და სხვა სახის ფრუსტაციებისაგან, რის შედეგადაც უნდა წარმოშობილიყო განწმენდა - კათარზისი. არტო ვარაუდობდა, რომ: „წარმოდგენის ფაბულად შესაძლებელია იქცეს ნებისმიერი ცხოვრებისეული ფრაგმენტი. რა მოქმედებაა, ხდომილებაა ქართულ თეატრში?!“[1]

მართლაც, რომ პარადოქსულია ჩვენი სინამდვილე. კლასიკურ ღირებულებათა რევიზიამ, თითქმის, ჯვაროსნული ლაშქრობის სახე მიიღო. თავგზააბნეული ადამიანი კრიზისის მიზეზს ტრადიციულ ღირებულებათა წიაღში დაეძებს, რათა თავი გაიმა-რთლოს, საკუთარი უუნაროზითაც რომ გააქრო პირველქმნილი ჰარმონია. ადამიანი გაუ-ცხოვდა საკუთარი არსისაგან და აგრესიული გახდა. საზოგადოება ვალდებულია, გააცნობიეროს რეალობა და განჭვრიტოს პერსპექტივა, მაშინ, „როცა შიმშილის საფრთხე რეალურია, როცა განათლება პრივილეგიაა და არა უფლება, როცა თვითგამოხატვა პროპაგანდაა თან მაშინ, როცა ნამდვილი პროპაგანდა რეალობას გვიყალბებს, როცა არტისტები კულტურული შიმშილით კი არა პურის შიმშილით იღუპებიან“ – „ნუღარ გამოხვალ ოთახიდან“[2]

ჰოდა, სანამ არ იმოქმედებ, ეს „ნაგავიც“ სრულიად დაგაკმაყოფილებს, მაშინ, როცა ჩვენს იქით, არც ევროპაა, არც აზია - ჩვენს იქით უიმედობაა და სანამ ჩვენ ვეღარ ვიყი-დით პურს და ვეღარ გავაკეთებთ ტყუილ სუპს, ევროპული ოჯახი უარგვყოფს და დავიღუპებით!

ამჯერად კი, ვისაუბროთ პოლიტიკურ ფარსზე, რომელსაც, თამამად შეგვიძლია ვუ-წოდოთ შავი კომედიაც, და მის შემადგენელ ნაწილებზე, რომელიც აერთიანებს დოკუ-მენტურ ფილმებს, ეპიკურ და სასტიკ თეატრს და, ამ ხერხითა და ფორმით ავლენს საქარ-თველოს მკაცრ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას. წარმოდგენის - „ნუღარ გამოხვალ ოთახიდან“ - პრემიერა 2025 წლის 6 ივნისს, ქალაქის თეატრმა ქეთევან სამხარაძის რეჟისოროზით წარმოგვიდგინა.

[1] Artaud, The Theatre and Its Double, 1938, p.: 17.

[2] ინტერვიუ დრამატურგ და რეჟისორ ქეთევან სამხარაძესთან

„ამ რთულ დროში, როცა დაღლილობა, შიში და უიმედობა ყოველდღიურობას ფონად გასდევს, ერთმანეთთან შეხვედრა და ერთად ყოფნა უკვე თავისთავად წინააღმდეგობაა..

ახლა კიდევ უფრო ნათლად დავინახე, რამდენად აუცილებელია ეს ნაბიჯი, როგორც პოლიტიკურად, ასევე ადამიანურად. ეს არის მხარდაჭერის აქტი და ჩვენი ხმის გაჟღერება...“ - წერს რეჟისორი სპექტაკლის ანონსისთვის.

ეს პერფორმანსი პირველად 2021 წელს დაიდგა მზიურის პარკში, იმ დროს, როცა ქვეყანაში შრომის, სოციოეკონომიკური და კულტურული ჩაგვრა უკვე სისტემურად მუშაობდა. შემდეგ, ეს წარმოდგენა, ორჯერ განმეორდა სხვადასხვა დროსა და ადგილებში. ქალაქის თეატრში კი, იგი ოდნავ სახეცვლილი ბრუნდება, და თან ბრუნდება ისეთი მძიმე რეალობის ფონზე, როგორიც დღევანდელი საქართველოა. ქვეყანაში, სადაც ავტორიტარიზმი ყოველდღიურ რეჟიმად იქცა, სადაც შიმშილის საფრთხე ხელშესახებად გვიახლოვდება, სადაც კულტურის განულება მთავარი პოლიტიკაა.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ შრომით, მორალურ, სულიერ, ფიზიკურ, კულტურულ ექსპლუატაციაზე აგებულ სისტემაში, რომელიც ქმნის დანაწევრებულ საზოგადოებას. ჩვენ ვხედავთ სტუდენტებს, რომლებიც პროტესტის გამო უნივერსიტეტებიდან გამოყა-რეს, ვხედავთ საჯარო მოხელეებს, რომლებიც სამსახურიდან მოხსნეს თავისუფლად თავისუფალი აზრის დაფიქსირებისთვის; ვხედავთ ჭიათურელ მაღაროელებს და ტყიბულელ მეშახტეებს, რომლებიც სიცოცხლის ფასად მუშაობენ, მაშინ როცა მათი შრომითი უფლებები მუდმივად ირღვევა, ახლა კი შიმშილის საფრთხის წინაშე დგანან, ვხედავთ ხელოვანებს, რომლებიც განიცდიან ცენზურას, დაშინება-რეპრესიებს; ვხე-დავთ, დასახიჩრებულ, უსამართლოდ დატყვევებულ ხალხს; ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც აღარ ყვირიან, რადგან აღარ აქვთ იმედი, რომ მათ ვინმე მოუსმენს.

მსახიობ-შემსრულებლები: ანკა დიდმანიძე/ნინა ყიფშიძე, სალომე ესაძე, ანიკო შურღაია, ლუკა ჩიბუხაია, ნიკა ჯაფარიძე; ხმა: ზუკა ცუხიშვილი; ქორეოგრაფი: Archprincess; კოსტიუმების მხატვარი: ჯაბა ქურთიშვილი; ციფრული დიზაინერი: თამარ სამხარაძე; ვიდეოგრაფი: მარიამ გილაშვილი; ფოტოგრაფი: გიორგი შენგელია; გრიმიორი: გიორგი კლაინის. სპექტაკლში გამოყენებულია ბაჯო ჯიქიძის და თორნიკე ჯაფიაშვილის, ,,ცისფერი ტრიოს” და MADONA-ს მუსიკა.

აქცია - პერფომანსის  დასაწყისი: მოგესალმებით, რომ აქ ხართ; ჩვენ დღეს აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ვილაპარაკოთ; ვილაპარაკოთ, საკუთარ თავზე, პროფესიაზე, ქვეყანასა თუ თეატრზე; ვილაპარაკოთ ყველაფერზე, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება; და რაც არ ხდება;

თეატრი არასდროს ყოფილა ,,მხოლოდ სპექტაკლი”. თეატრი ყოველთვის იყო და არის ხალხის ხმის გამჟღერებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვაგვარად აღარ ისმის ხალხის ხმა. თეატრი ის ადგილია, სადაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ შევეგუებით - რომ ვიტანჯებით, რომ ვიბრძვით და რომ გვტკივა;  ჩვენ დღეს აქ სალაპარაკოდ შევიკრიბეთ, ჩვენ გვინდა, რომ ამ სპექტაკლით ვცადოთ მაყურებელთან დიალოგი; ამისთვის თქვენი დახმარება დაგჭირდება ჩვენ ახლა კითხვებს დაგისვამთ და თუ სურვილი გექნებათ გვიპასუხეთ. ვის გაქვთ სურვილი, რომ

გვესაუბროს? გთხოვთ აწიოთ ხელი. უსაფრთხო ზონაა, გაზიარების სივრცეა, შეგიძლიათ თამამად ილაპარაკოთ....

სცენა განძარცვულია სცენოგრაფიული ელემენტებით: მხოლოდ, ხუთი მიკროფონი, ოთხი მსახიობი და მაყურებლისთვის დასმული კითხვები - „რა გქვიათ? რას ფიქრობთ თქვენს სამუშაო პირობებზე? გამოიცანით ექთნის საშუალო ხელფასი“. თავიდან ყველა-ფერი თითქოსდა მარტივად და „მსუბუქად“ მიმდინარეობს, მაგრამ, შემდგომ, ერთი „მოხალისე“ - ფინანსურად ძლიერი და კერძო კლინიკის ექთანი - იმყოფება დარბაზში და თავის ისტორიას გვიზიარებს. განწყობა იცვლება. კაპიკებზე მომუშავე, ოცდაოთხ-საათიან რეჟიმში ავადმყოფებზე მზრუნველი მედ. პერსონალი მისი ცხოვრების ერთ დღეს „გვიხატავს“ და.... უეცრად მძიმდება გარემო, ეს, მხოლოდ თეატრი აღარ არის - ეს საქართველოს რეალობაა, ჩვენს თვალწინ, ირონიითა და სარკაზმით, ბრაზითა და „უხეში“ გულწრფელობით საუბრობს „მედდა“.

ამ ყველაფრის უკან ტექსტი სამართებლისებურად ბასრია: „არ დატოვოთ ოთახი ...რადგან ჩვენს მიღმა არ არსებობს ევროპა, არ არსებობს აზია - მხოლოდ უიმედობა ... სანამ პურის ყიდვაც კი არ შეგვეძლება, სანამ წვნიანი ტყუილად არ იქცევა“.

დიახ,ეს პირქუში მონოლოგი, ასევე მოწოდებაა მოქმედებისკენ: არ წახვიდეთ სანამ არ ითამაშებთ.

ჩვენს მიერ ნანახი ისტორიების უმეტესობა რეალურია, მხატვრული რეკონსტ-რუქციის მცირე დრამატურგიული ცვლილებებით. ისინი, მსახიობებისგან, რეჟისორი-სგან ან მათი მეგობრების ისტორიებისგან მოდის. ერთი ეპიზოდი ასახავს სექსიზმს, რომელსაც ახალგაზრდა ქალი „თეატრალურ“ უნივერსიტეტში მოსასმენად აწყდება; მეორე კი, შრომისა და მიგრაციის საკითხებს ეხება, განსაკუთრებით ქალებს, რომლებიც იძულებულნი არიან დატოვონ საქართველო საზღვარგარეთ მოხუცების მოსავლელად გაეშურონ. მსახიობების უკან, პროექტორზე, რეალური ფაქტები ცოცხლდება, რომლებიც ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც წარმოდგენაში გაცოცხლებული ხდომილება თუ ქმედება: ბანკები გასცემენ სესხებს ნებისმიერი ნივთის - თუნდაც უთოსა და მანქანის - მოთხოვნით და ქვეყნები, სადაც ქართველი მიგრანტების უმეტესობა ხვდება.

პერფომანსის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ასპექტი არის ის, თუ რამდენად არაფორმალური და პირდაპირია ნარატივი. რეჟისორი, მსახიობები და ხმის რეჟისორი ერთმანეთთან საუბრობენ მთელი წარმოდგენის განმავლობაში, თითქოს პირდაპირ ეთერში ვუყურებთ მათ შემოქმედებით პროცესს. ეს არღვევს ე.წ. მეოთხე კედელს სცენასა და მაყურებელს შორის, რაც მთელ ამბავს აქტუალურს და აწმყოდ ხდის: ახლა და აქ.

**დასკვნა:** „ნუღარ გამოხვალ ოთახიდან“ უბრალოდ სპექტაკლი არ არის - ეს შეხსენებაა იმისა, რომ თეატრი შეიძლება იყოს სიმართლის თქმისა და წინააღმდეგობის სივრცე. ის სასაცილო, მძაფრი და მტკივნეულად რეალურია. და ეს ზუსტად ისეთი სპექტაკლია, როგორიც ახლა საქართველოს სჭირდება.

**ლიტერატურა:**

1. Artau, Antonin., - The Theatre and Its Double, New York, 1938.
2. Berger, J., - The Sense of Sight, New York, 1985.
3. **ინტერნეტრესურსები:**
4. Antonin Artaud, The Living Theatre, https://www.britannica.com/topic/The-Living-Theatre 09/04/2026



**Tamar Tsagareli**
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University,
Tbilisi, Georgia
a-mail: ttsagareli@tafu.edu.ge
**tamaratsagareli@gmail.com**
**ORCID: 0000-0002-1703-216X**


https://doi.org/10.52340/lac.2026.36.16
**SJIF 2026:** 8.679


# Action or Event in Theatrical Language


Abstract

**„Theatre is the most beautiful, because**
**it is located between art and life"**
**Tadeusz Kantor**

The Georgian theater of the 21st century is distinguished by its paradox. It reflects the time that created reality and the time that rose on the stage.

Indeed, our reality is paradoxical. The revision of classical values has almost taken the form of a crusade. A confused person will look for the cause of the crisis in the bosom of traditional values in order to justify himself, even if by his own inability he destroys the originally created harmony. A person has become alienated from his own essence and has become aggressive. Society is obliged to realize the reality and foresee the future, when „the threat of hunger is real, when education is a privilege and not a right, when self-expression is propaganda, when real propaganda falsifies reality, when artists die not from cultural hunger but from hunger for bread" – „Don't Leave the Room" (playwright and director Ketevan Samkharadze)

So, until you act, this „garbage" will completely satisfy you, especially when beyond us, there is neither Europe nor Asia - beyond us there is hopelessness and until we can no longer buy bread and make fake soup, the European family will reject us and we will perish!

This time, let's talk about the political farce and its components, which was presented on June 6, 2025, by the City Theater, directed by Ketevan Samkharadze.



**Key words:** Theater, Era, Action, Reality, Happening;

**რეცენზენტი:** პროფესორი გორდ მახმუდოვი